სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა #6

ქ. თბილისი **2016 წლის 29 ივნისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. თუთბერიძე ბეჟანი 5. მაჭავარიანი ლია 6. გეგეჭკორი არნოლდი 7. ხაჩიძე მანანა 8. ბექაური ბექა 9. ბახტურიძე პაატა 10. თუმანიშვილი გიორგი 11. თოდუა ნონა 12. კვირიკაშვილი ბახვა 13. კუპრაძე ირაკლი 14. წერეთელი მარი 15. შამილიშვილი მანანა 16. ლორთქიფანიძე ლევანი 17. საბაური შალვა 18. ჩახუნაშვილი ნინო 19. ლორია კახაბერი 20. გორდეზიანი ლევანი 21. გელოვანი ნანი 22. თაბუაშვილი აპოლონი 23. ბრაჭული ირაკლი 24. ოთხმეზური გიორგი 25. პაიჭაძე თამარი 26. ხომერიკი რამაზი 27. მინდიაშვილი თეონა 28. სამხარაძე ლაშა 29. გაიპარაშვილი ზურაბი(დანართი 1)

დღის წესრიგი:

„სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის #127/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის #67/2016 დადგენილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად

წარმომადგენლობითმა საბჭომ სხდომის მდივნად ერთხმად აირჩია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ქალბატონი თამარ პაიჭაძე

აკადემიურმა საბჭოს თავმჯდომარემ, რექტორის მოვალების შემსრულებელმა ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ წარმომადგელობითი საბჭოს სპიკერის მიერ აკადემიური საბჭოს სახელზე გადმოგზავნილი იქნა 2016 წლის 28 ივნისის ამონაწერი სხდომის ოქმიდან #5, რომლითაც აკადემიურ საბჭოს ეთხოვა ხელახლა განეხილა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესში შესატანი ცვლილებები,

სენატის წევრთა მიერ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იყო დისკუსია, აზრთა სხვადასხვაობა, მოისმინეს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის პოზიციაც და ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს გადაწყვეტილებას, რომ ამ ეტაპზე ძალაში დარჩეს იგივე წესი ანუ თითოეულ ამომრჩეველს ქონდეს ერთი ხმა. ამასთან აღნიშნა, რომ საკითხი იმსახურებს სერიოზულ განხილვას და საბჭო აღნიშნული საკითხის განხილვას დაუბრუნდება მომავალში, ახალი სენატის არჩევისას.

საკუთარი დადებითი პოზიცია გამოხატეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: არნოლდ გეგეჭკორმა, ირალი კუპრაძემ, ბახვა კვირიკაშვილმა, პაატა ბახტურიძემ. ამ უკანასკნელმა უნივერსიტეტის ჩიხში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით მზადყოფნა გამოხატა, მხარი დაეჭირა ამ წინადადებისთვის და წარმოდგენილი დადგენილებისათვის.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის #127/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 ივნისის #67/2016 დადგენილება (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანი თამარ პაიჭაძე

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 29 ივნისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ზარზაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი აწზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- ხომერიკი რამაზი

- თუთბერიძე ბექანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი

- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #6
დანართი 2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

67.2016 ***29.06.2016***

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №127/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 57–ე მუხლისა და 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,წ“ ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს 23.06.2016, №21002/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №127/2013 დადგენილებაში და დადგენილების დანართი №1-ით დამტკიცებულ ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესი“-ს:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. არჩევნების გამოცხადება
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (შემდგომში - სენატი) წევრთა არჩევნებს აცხადებს აკადემიური საბჭო.

2. აკადემიური საბჭოს სამართლებრივი აქტი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.“

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საარჩევნო კომისია შედგება არანაკლებ 7 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.“

გ) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი საარჩევნო ქვეკომისიები.“

დ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სენატი აირჩევა 4 წლის ვადით უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ამ ერთეულებზე სენატის არჩევის მომენტში მათი რაოდენობის პროპორციულად. სენატის შემადგენლობაში ასევე შედიან საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლები.“

ე) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩევიან:
ა) აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრის მიერ;
ბ) სტუდენტების წარმომადგენლები - ფაკულტეტის ყველა სტუდენტის მიერ;
გ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლები - დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრის მიერ.“

ვ) ამოღებულ იქნეს მე-5 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები.

ზ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 მუხლი:

„მუხლი 6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და მისი ადგილმონაცვლის განსაზღვრა
1. სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.“

თ) მე-7 მუხლის:

თ.ა) 1-ლი-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სენატში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი.
2. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის ყველა წევრი. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელს ირჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.
3. სენატში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენ ადგილზეც გამოცხადდა არჩევნები. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე 1 კანდიდატი.
4. იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით. განმეორებითი კენჭისყრა ტარდება არა უგვიანეს 5 დღის ვადაში და მისი ჩატარების ზუსტ დროსა და ადგილს განსაზღვრავს საარჩევნო კომისია.“

თ.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესს.“

ი) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 8. საარჩევნო სიები
პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის, შესაბამისი ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინების საფუძველზე საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია.“

კ) მე-10 მუხლის:

კ.ა) მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შესაბამისი ფაკულტეტის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სახელწოდება;“.

კ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა ამომრჩეველზე, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.“

ლ) მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;“.

მ) მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) იმ ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.“

ნ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 13. დარღვევის ოქმი
არჩევნების დღეს ამ დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი, შესაბამისი ფაკულტეტის ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი,რომელშიც მიეთითება:
ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.“

ო) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 14. არჩევნების შედეგების გამოცხადება
არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს, არა უგვიანეს 23:00 საათისა. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.“

პ) მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს, შესაბამისი ფაკულტეტის ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.“

2. წინამდებარე დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ–ს კანცელარიას.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე